ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1694724

ნომერი: AR1276944

თარიღი : 05.01.2015

გაცემის თარიღი : 21.01.2015

გაცნობის თარიღი : 29.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იალბუზი , N 7-9 , ქუჩა ლუსინიანი N5 , (ნაკვეთი N134/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია სამჭკუაშვილი პ/ნ 01011020967
- თბილისი ა.ლუსინიანის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1269610 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც აპროტესტებთ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩა N 7-9; ლუსინიანის N5; (ნაკვეთი N134/25) (საკადასტრო კოდი: 01.17.01.134.025) მდებარე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის, 2009 წლის 21 დეკემბრის №01/1952 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და №6/1954-1 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, სამასხურის 2014 წლის 28 მარტის #1194569 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 დეკემბრის №01/1952 ბრძანებასა და №6/1954-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მოხდა მშენებლობის ვადის გაგრძელება.

ვინაიდან დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge), ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1198547 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.